ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი 05 აგვისტო 2015 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სსიპ "თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის" დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის" მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი ეკატერინე მაზმიშვილი

TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF THEATRE

ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ №05/08

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „05“ აგვისტო 2015 წ.

მხარეები:

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი **„ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“**, წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის ავთანდილ ვარსიმაშვილის სახით (შემდგომში **„მომსახურების გამწევი“**),

და

მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი **“თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის სახით (შემდგომში **“მომსახურების მიმღები”)**

მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც **“მხარე”** და ერთად როგორც **“მხარეები”**,

მხარეები მოქმედებენ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (**შემდგომში “ხელშეკრულება”)** და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე **მომსახურების გამწევი** უწევს **მომსახურების მიმღებს** შემდეგი სახის მოსახურებას:

უფმობს გრიბოედოვის თეატრის დიდ სცენას 2015 წლის 01 ოქტომბერს დეკორაციის მონტაჟისათვის, 02 ოქტომბერს რეპეტიციისათვის და სპექტაკლის **„კააში“ (აქრამ ხანის ცეკვის კომპანია)** (შემდგომში “სპექტაკლი”) გასამართად; უწევს ტექნიკურ მომსახურებას, რაც დაკავშირებულია სპექტაკლის გამართვასთან (შემდგომში ყოველივე მოხსენებულია როგორც “მომსახურება”); (ტექნიკური მომსახურების ზუსტი ჩამონათვალი მითითებულია ხელშეკრულების №1 დანართში).

1.2 CPV-92500000. მომსახურების შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის განკარგულება №878, 2015 წლის 24 აპრილი).

2. მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების პირობები

2.1. მომსახურების ღირებულება 1.1. პუნქტში გათვალისწინებული მომსახურებისათვის შეადგენს **8000.00 (რვაათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

2.2. მომსახურების მიმღების მიერ მომსახურების ანაზღაურება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 2015 წლის 31 ოქტომბრისა;

2.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: შოთა რუსთაველის გამზირი №2.

3. მომსახურების გამწევის უფლება-მოვალეობები

3.1 **მომსახურების გამწევი** ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა სრულყოფილად და ხარისხიანად;
ბ) მომსახურების მიმღებს დაუთმოს სცენა დეკორაციის მონტაჟის და სპექტაკლის დღეებში 09:00 საათიდან 24:00 საათამდე;
გ) საჭიროების შემთხვევაში მასპინძელ თეატრში მომსახურების მიმღებს ააშენებინოს ფერმა;
დ) საჭიროების შემთხვევაში მომსახურების მიმღებს მისცეს უფლება მასპინძელ თეატრში დაამონტაჟოს დამატებითი განათება;
ე) საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს განათების აპარატურის კომბინაცია;
ვ) გამოიყენოს სრული ტექნიკური აღჭურვილობა რაც მასპინძელ თეატრს გააჩნია (განათება, გახმოვანება და ვიდეოპროექცია);
ზ) მომსახურების მიმღები სრულად უზრუნველყოს ტექნიკური ჯგუფის მომსახურებით მასპინძელი თეატრიდან;
თ) მომსახურების მიმღები სრულად უზრუნველყოს მოთხოვნილი (ყველა საგრიმიორო) საგრიმიოროებით;
ი) მომსახურების მიმღებს დაახვედროს ტექნიკურად აჭურვილი და გამართული თეატრი.
3.2 **მომსახურების გამწევი** უფლებამოსილია:
მოსთხოვოს მომსახურების მიმღებს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

4. მომსახურების მიმღების უფლება-მოვალეობები

4.1 **მომსახურების მიმღები** ვალდებულია:
ა) სრულად აუნაზღაუროს მომსახურების გამწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;
ბ) დროულად მიაწოდოს მომსახურების გამწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;
გ) მომსახურების გამწევს მოთხოვნისთანავე მისცეს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით;
4.2 **მომსახურების მიმღები** უფლებამოსილია:
მოითხოვოს მომსახურების გამწევს წერილობითი ან ზეპირი განმარტებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც შედის მომსახურების გამწევის კომპეტენციაში.

5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1 მომსახურების მიმღები უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მომსახურების მიმღების მოთხოვნებთან.
5.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას მომსახურების მიმღების მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული მენეჯერი თინათინ კალატოზიშვილი.
5.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ მომსახურების მიმღები დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მომსახურების გამწევს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
5.4 მომსახურების გამწევი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება მომსახურების გამწევისა და მომსახურების მიმღების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები მომსახურების მიმღებისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მომსახურების მიმღებისა და/ან მომსახურების გამწევის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
9.3. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომსახურების გამწევს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. დავების გაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მომსახურების მიმღები და მომსახურების გამწევი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 3 ნოემბრამდე.
12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მომსახურების მიმღები:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"

მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მომსახურების გამწევი:

სსიპ "ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"

მის: შოთა რუსთაველის გამზ. №2
ს/კ 203827573
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22
ა.ა 708227176

დირექტორი:

ეკატერინე მაზმიშვილი

(ბ.ს.)

სამხატვრო ხელმძღვანელი:

ავთანდილ ვარსიმაშვილი

(ბ.ს.)

მომსახურების გაწევის შესახებ
2015 წლის 05 აგვისტოს №05/08 ხელშეკრულების
დანართი №1

მომსახურების გამწევი ვალდებულია:
1) ღონისძიების უზრუნველსაყოფად გამოყოს მომსახურების მიმღების მიერ შერჩეული ტექნიკურ-საორგანიზაციო ჯგუფი:
ა) სპექტაკლისთვის **„კააში"**:
1. ორი გამნათებელი
2. ორი ხმის ოპერატორი
3. ექვსი სცენის მემანქანე
4. ერთი ჩამცმელი
5. ორი დამლაგებელი
6. ერთი ინჟინერი
7. ერთი გრიმიორი
2) უზრუნველყოს სცენის ტექნიკური გამართვა, განათება, ხმის აპარატურა, კაპელდინერები სრულად.
3) თეატრის მომზადება:
ა) დალაგება
ბ) დარბაზის და საგრიმიოროების მოწესრიგება.

მომსახურების მიმღები:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"

მის: შარტავას ქ. №7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

დირექტორი:

ეკატერინე მაზმიშვილი

(ბ.ა.)

მომსახურების გამწევი:

სსიპ "ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი"
მის: შოთა რუსთაველის გამზ. №2
ს/კ 203827573
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22
ა.ა 708227176

სამხატვრო ხელმძღვანელი:

ავთანდილ ვარსიმაშვილი

(ბ.ა.)